საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

№ 16/604-17

„27" 02 2017 წ

შპს „ტვ მობილს"

# შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 16 მარტს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა, სადაც განიხილება შპს „ტვ მობილის" ავტორიზაციის შეჩერების საკითხი.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;

გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

**დანართი:** სამსახურებრივი ბარათი - 2 ფურც.

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს
ბატონ იოსებ ხარებავას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტის
უფროსის მ/შ ნათია დევდარიანის

**სამსახურებრივი ბარათი**

ბატონო იოსებ,

თქვენს 2016 წლის 22 ნოემბრის Nშ-10/12402-16 სამსახურებრივ ბარათზე, წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2016 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. გთხოვთ, იხილოთ დანართი N1.

თან ერთვის:

1. დანართი N1, 01 ფურცელი, 01 ეგზ.
2. კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ი. ხარებავას 2016 წლის 22 ნოემბრის Nშ-10/12402-16 სამსახურებრივი ბარათი, 02 ფურცელი, 01 ეგზ.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი
23/12/16

შ.10/13333.16
23.12.16
1+3

დანართი N1

| NN | ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | დასახელება | ს/კ | ავტორიზაციის თარიღი | რეგულირების ყოველწლიური საფასურის ბოლო წარმოდგენა | რეგულირების ყოველწლიური საფასურის ბოლო გადახდა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | შპს | სამაუწყებლო ტელეკომპანია კაბელი 1 | 241567194 | 05.02.2010 | 2011 წლის ნოემბრი | ბოლო ჩარიცხვა - 11/18/2008 |
| 2 | შპს | მაქსტელკომი | 204496633 | 15.02.2010 | 2012 წლის მაისი | ბოლო ჩარიცხვა - 12/29/2011 |
| 3 | ინდ. მეწარმე | მამუკა კალანდარიშვილი | 145477310 | 22.03.2010 | 2012 წლის მაისი | ბოლო ჩარიცხვა - 03/29/2012 |
| 4 | ინდ. მეწარმე | გიორგი გაფრინდაშვილი | 129320867 | 09.02.2010 | 2010 წლის მაისი | ბოლო ჩარიცხვა - 10/20/2010 |
| 5 | შპს | მაქსტელი | 205030090 | 15.02.2010 | 2012 წლის სექტემბრი | ბოლო ჩარიცხვა - 02/28/2012 |
| 6 | ინდ. მეწარმე | ემზარ ზოიძე | 146973950 | 18.03.2010 | 2011 წლის თებერვალი | ბოლო ჩარიცხვა - 03/24/2011 |
| 7 | ინდ. მეწარმე | ვამეხი მიქაბერიძე | 112910388 | 25.02.2010 | 2011 წლის აპრილი | ბოლო ჩარიცხვა - 09/14/2011 |
| 8 | შპს | ტვ-4000 | 448381162 | 01.04.2010 | 2011 წლის თებერვალი | ბოლო ჩარიცხვა - 03/25/2011 |
| 9 | შპს | მულტინეტი | 400010947 | 11.11.2010 | 2011 წლის აგვისტო | ბოლო ჩარიცხვა - 02/08/2012 |
| 10 | შპს | ტვ სტარი | 445394332 | 15.06.2012 | 2014 წლის სექტემბრი | ბოლო ჩარიცხვა - 01/11/2013 |
| 11 | შპს | A&M TV | 404905037 | 26.07.2011 | 2012 წლის სექტემბრი | არცერთხელ |
| 12 | შპს | სპიდლაინი | 400029713 | 31.01.2012 | 2015 წლის იანვრიდან - 2016 წლის ივნისის ჩათვლით -წლიურები |  |
| 13 | შპს | ახალი ტექნოლოგიები | 404929814 | 16.02.2012 | 2014 წლის იანვარი | ბოლო ჩარიცხვა - 01/18/2013 |
| 14 | შპს | NEW NET | 438724720 | 29.02.2012 | 2014 წლის ივნისი | ბოლო ჩარიცხვა - 11/26/2013 |
| 15 | შპს | გრინ-Green | 445432327 | 08.11.2013 | არცერთხელ | ბოლო ჩარიცხვა - 12/22/2014 |
| 16 | შპს | ბონი | 204422543 | 11.11.2013 | არცერთხელ | არცერთხელ |
| 17 | შპს | ვესტნეტი | 444547368 | 30.05.2011 | არცერთხელ | არცერთხელ |
| 18 | შპს | ნეტ სითი | 440885295 | 14.09.2011 | არცერთხელ | ბოლო ჩარიცხვა - 26/07/2012 |
| 19 | შპს | GLOBAL+ | 415590346 | 07.12.2012 | 2014 წლის ნოემბერი | ბოლო ჩარიცხვა - 10/22/2014 |
| 20 | შპს | ტემობილი | 432385518 | 05.11.2014 | არცერთხელ | არცერთხელ |
| 21 | შპს | ოაზ ინგ | 405143928 | 06.04.2016 | 2015 წლის იანვარი | არცერთხელ |
| 22 | შპს | ვარიდ ტელეკომ ჯორჯია | 204537402 | 02.02.2010 | 2016 წლის დეკემბერი-წლიურები | არცერთხელ |
| 23 | შპს | ვებნეტ | 406086462 | 24.05.2013 | 2013 წლის დეკემბრი | ბოლო ჩარიცხვა - 07/02/2009 |
| 24 | შპს | სმარტ სიგნალი | 401992420 | 25.02.2014 | 2014 წლის ოქტომბრი | არცერთხელ |
| 25 | შპს | ნიუ ვიდეო | 405034957 | 31.03.2014 | 2015 წლის მარტი | ბოლო ჩარიცხვა - 04/16/2015 |
| 26 | შპს | ვებ ტელეკომი | 430798693 | 24.02.2015 | 2015 წლის აპრილი | არცერთხელ |
| 27 | შპს | ლაიფი | 425359532 | 01.05.2015 | 2016 წლის მარტი | არცერთხელ |
| 28 | შპს | აზ სილქ როუდ | 404496728 | 18.08.2015 | არცერთხელ | არცერთხელ |
| 29 | შპს | კომინეტ ჯგუ | 405129383 | 21.12.2015 | არცერთხელ | არცერთხელ |